შპს ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტების თვითმმართველობის არჩევნების ელექტრონული ფორმით ჩატარების წესი

2020 წელი

<u>შინაარსი</u>

მუხლი ***1.*** ზოგადი დებულებები....3

მუხლი ***2.*** სტუდენტური თვითმმართველობის ფორმირების პრინციპები....3

მუხლი ***3.*** ელექტრონული ფორმით სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების ეტაპები....4

მუხლი ***4.*** საარჩევნო პროგრამის წარმოდგენა....4

მუხლი ***5.*** ხმის მიცემა....5

მუხლი ***6.*** ხმების დათვლა და შედეგების გამოქვეყნება....5

მუხლი ***7.*** აპელაცია....6

მუხლი ***8.*** სტუდენტური თვითმმართველობის საბოლოო შედეგების გამოქვეყნება და სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის არჩევა....7

მუხლი ***9.*** დასკვნითი დებულება....7

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესით განისაზღვრება შპს ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების ელექტრონული ფორმით ჩატარების წესი და განსახორციელებელი პროცედურები.
2. წინამდებარე წესის მიზანია, ხელი შეუწყოს ელექტრონული ფორმით, ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების ჩატარების საფუძველზე სტუდენტური თვითმმართველობის არჩევას.

მუხლი 2. სტუდენტური თვითმმართველობის ფორმირების პრინციპები

1. სტუდენტური თვითმმართველობის ფორმირება ხორციელდება უნივერსიტეტის თითოეული ფაკულტეტიდან წარმოდგენილი სტუდენტების მიერ.
2. სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება შემდეგნაირად:
თითოეული ფაკულტეტიდან ყოველ 500 (ხუთასი) სტუდენტზე აირჩევა – 1 წარმომადგენელი.
3. თვითმმართველობის არჩევნების მიზნებისთვის, ფაკულტეტზე სტუდენტთა და, შესაბამისად, წარმომადგენელთა რაოდენობის განსაზღვრა, მოხდება თვითმმართველობის არჩევნების გამოცხადების დღის მდგომარეობით.
4. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ფაკულტეტზე სტუდენტთა რაოდენობა 500-ზე ნაკლებია – აირჩევა 1 წარმომადგენელი.
5. თუ რომელიმე ფაკულტეტზე ვერ აირჩა შესაბამისი რაოდენობა (500 სტუდენტზე 1 წარმომადგენელი), სტუდენტური თვითმმართველობის წევრად კონკრეტული ფაკულტეტიდან დამტკიცდება კანდიდატთა ფაქტობრივად არჩეული რაოდენობა, თუმცა, არაუმცირეს 1 წარმომადგენლისა.
6. სტუდენტური თვითმმართველობის ფორმირება ხდება სტუდენტების მიერ და უნივერსიტეტის მხარდაჭერით ორგანიზებული არჩევნების ჩატარების გზით.
7. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების პროცესში, არჩევნების მონაწილე ყველა მხარე მოქმედებს შემდეგი პრინციპების შესაბამისად:

ა) გამჭვირვალობის პრინციპი - სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების ყველა მონაწილე, სტუდენტებისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან უფლებამოსილია დააკვირდეს, პირდაპირ ან თავისი წარმომადგენლის მეშვეობით ხმების დათვლის პროცესს. ასევე, სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების ყველა წესი და პროცედურა საჯაროდ ხელმისაწვდომია გასაცნობად ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

ბ) საყოველთაოობის პრინციპი - უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი სარგებლობს აქტიური (აირჩიოს სტუდენტური თვითმმართველობის წევრი) და პასიური (არჩეულ იქნას სტუდენტური თვითმმართველობის შემადგენლობაში) საარჩევნო უფლებით, რომლის რეალიზება მხოლოდ მის ინიციატივაზეა დამოკიდებული.

გ) თანასწორობის პრინციპი - სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების ყველა მონაწილე სარგებლობს ხმათა თანაბარი რაოდენობით.

დ) სამართლიანობის პრინციპი - სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების შედეგები დამოკიდებულია ასარჩევი კანდიდატების მიერ წარმოდგენილ სტუდენტური ცხოვრების განვითარების ხედვაზე და არჩევნების მონაწილეთა მიერ, ხმის მიცემის დროს ამ ხედვის გაზიარებაზე.
ე) ფარულობის პრინციპი - რაც გულისხმობს არჩევნების პროცესის ფარულად წარმართვას და ხმების დათვლის

ეფექტური სისტემის მოქმედებას.

მუხლი 3. ელექტრონული ფორმით სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების ეტაპები

1. ელექტრონული ფორმით სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების ეტაპებია:

ა. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელშეწყობით სტუდენტების ინფორმირება სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების პირველი ეტაპის ვადების და პროცედურის შესახებ;
ბ. სტუდენტური თვითმმართველობის წევრობის კანდიდატობის მსურველი სტუდენტი აკეთებს განაცხადს არჩევნებში მონაწილეობის მიზნით ელექტრონულ ფოსტაზე elections@eu.edu.ge ის ასევე ვალდებულია, ამავე ელექტრონულ ფოსტაზე განაცხადდთან ერთად წარმოადგინოს საკუთარი საარჩევნო პროგრამა და წარმომადგენელი, რომელიც უფლებამოსილია ჩაერთოს არჩევნების ელექტრონული პლატფორმის მხარდამჭერი ჯგუფის მიერ დაორგანიზებული საარჩევნო შედეგების გამოქვეყნების პროცესში. წარმომადგენლების შესახებ ინფორმაცია მოიცავს პირის სახელს, გვარს და პირად ნომერს. აღნიშნული პროცედურის ზედმიწევნით შეუსრულებლობის შემთხვევაში პირი კანდიდატად არ ჩაითვლება.
გ. არჩევნების მონაწილეთა მიერ ხმის მიცემა;

დ. ხმების დათვლა და შედეგების გამოქვეყნება; ე.
აპელაცია;
ვ. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების საბოლოო შედეგების (აპელაციის შემდგომი შედეგების) გამოქვეყნება;
ზ. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის არჩევა.

მუხლი 4. საარჩევნო პროგრამის წარმოდგენა

1. საარჩევნო ინიციატივით რეგისტრირებული ყველა ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია წარმოუდგინოს ამომრჩეველ სტუდენტებს მის მიერ შეთავაზებული ხედვა სტუდენტური ცხოვრების განვითარების, სტუდენტური თვითმართველობის საქმიანობის ორგანიზების, სტუდენტთა ადვოკატირების და ფაკულტეტთა შორისი საერთო აქტივობების განხორციელების შესახებ.
2. ასარჩევი კანდიდატები უფლებამოსილნი არიან აწარმოონ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინიციატივების სტუდენტებისთვის გაცნობის პროცესი სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების კენჭისყრის დღემდე. კენჭისყრის დღეს აგიტაცია დაუშვებელია.
3. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ხელს უწყობს კანდიდატებს უზრუნველყონ საარჩევნო ინიციატივების

სტუდენტებისთვის გაცნობა, თუ აღნიშნული ხელს არ უშლის სასწავლო პროცესის გეგმიურ მიმდინარეობას.

მუხლი 5. ხმის მიცემა

1. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე კანდიდატებისათვის ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს.
2. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ხელს უწყობს ხმის მიცემის პროცესის ორგანიზაციულ - ტექნიკურ უზრუნველყოფას.
3. უნივერსიტეტის სტუდენტი არჩევნებში მონაწილე კანდიდატისთვის ხმის მიცემის პროცესს ახორციელებს უნივერსიტეტის მეილის გამოყენებით არჩევნების ელექტონულ პლატფორმაზე (elections.eu.edu.ge) ავტორიზაციის გზით. სტუდენტი ხმას აძლევს კანდიდატს ფაკულტეტის შესაბამისად, რომელზეც ის სწავლობს. კანდიდატის არჩევა ხდება კანდიდატის მონაცემების გასწვრივ არსებულ ღილაკზე მონიშვნის გზით და სრულდება არჩევის პროცესის შესაბამის ღილაკზე - „გაგზავნა“ დაჭერის მეშვეობით. ხმის მიცემა შესაძლოა მხოლოდ ერთხელ და არჩევანის შეცვლა არ არის შესაძლებელი.

4. თითოეულ ამომრჩეველს გააჩნია 1 ხმა. სტუდენტი უფლებამოსილია თუ ის მონაწილეობს არჩევნებში ხმა მისცეს საკუთარ კანდიდატურას.

მუხლი 6. ხმების დათვლა და შედეგების გამოქვეყნება

1. საარჩევნო შედეგებს არჩევნების ელექტრონული პლატფორმა ითვლის ავტომატურად.

2. საარჩევნო შედეგების გამოცხადება განხორციელდება უნივერსიტეტისგან დამოუკიდებლად, არჩევნების ელექტრონული პლატფორმის მხარდამჭერი ჯგუფის მიერ.
3. შედეგების გამოცხადება განხორციელდება ონლაინ, არჩევნების ელექტრონული პლატფორმის საშუალებით, ხმის მიცემის პროცესის დასრულებიდან არაუმეტეს 1 დღის ვადაში. შედეგების გამოცხადების პროცესს შესაძლებელია დაესწროს ყველა დაინტერესებული პირი.
4. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვებულად ჩაითვლებიან კონკრეტულ ფაკულტეტზე ხმების უმეტესი რაოდენობის მქონე კანდიდატი/კანდიდატები.
5. სტუდენტური თვითმმართველობა აირჩევა 2 წლის ვადით. 2 წლიანი ვადის გასვლამდე არანაკლე 2 თვით ადრე ტარდება არჩევნები, არჩევნების ვერ/არ ჩატარების შემთხვევაში დამატებით 6 თვის ვადით ინარჩუნებს თვითმმართველობა უფლებამოსილებას.

მუხლი 7. აპელაცია

1. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან 1 დღის განმავლობაში არჩევნებში მონაწილე კანდიდატი უფლებამოსილია შეიტანოს დასაბუთებული სააპელაციო განაცხადი, საარჩევნო მეილზე გაგზავნის მეშვეობით - elections@eu.edu.ge
2. დაუსაბუთებელი სააპელაციო განაცხადი არ მიიღება.

3. სააპელაციო განაცხადის განხილვა უნდა განხორციელდეს დროებითი სააპელაციო კომისიის მიერ. კომისია შედგება ხუთი სტუდენტისგან, რომლის შემადგენლობაში შედიან თითოეული ფაკულტეტიდან წარმოდგენილი უმაღლესი GPA-ს მქონე სტუდენტები.
4. არჩევნების ელექტრონული პლატფორმის მხარდამჭერი ჯგუფი ვალდებულია, არჩევნების შედეგების

გამოქვეყნების დღესვე უზრუნველყოს დროებითი სააპელაციო კომისიის მიმართ არჩევნების შედეგების მიწოდება.
5. აპელაციის განაცხადის განხილვის შედეგად, დროებითი სააპელაციო კომისია, იღებს ერთ-ერთ შემდეგ

გადაწყვეტილებას:
ა) აპელაციის შესაბამისად, არჩევნების პერიოდში არსებული დარღვევის აღიარების, მნიშვნელოვნად ჩათვლის და აღნიშნულის გათვალისწინებით შედეგებში ცვლილების შეტანის, არჩევნების ან მისი ცალკეული ეტაპის გაუქმების და ხელახლა ჩატარების შესახებ;

ბ) აპელაციის შესაბამისად, არჩევნების პერიოდში არსებული დარღვევის აღიარების, უმნიშვნელოდ ჩათვლის და აღნიშნულის გათვალისწინებით არჩევნების შედეგების ძალაში დატოვების შესახებ;
გ) აპელაციის შესაბამისად, არჩევნების პერიოდში არსებული დარღვევის არაღიარების და აღნიშნულის გათვალისწინებით არჩევნების შედეგების ძალაში დატოვების შესახებ.

6. აპელაციის ვადის ამოწურვის ან აპელაციის თაობაზე ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისიწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების შედეგები ძალაში შედის.

7. სააპელაციო განაცხადის არსებობის შემთხვევაში დროებითი სააპელაციო კომისია შედეგებს განიხილავს

განაცხადის მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) დღის ვადაში.

მუხლი 8. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის არჩევა

1. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების საბოლოო შედეგების საფუძველზე ინფორმაცია ქვეყნდება საჯაროდ ვებ - გვერდის ან/და სხვა სოციალური ქსელების საშუალებით. არჩევნების შედეგების დამტკიცება განხორციელდება აპელაციისთვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

2. სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩეულმა წევრებმა არჩევნების საბოლოო შედეგების დამტკიცებიდან 3 (სამი) დღის განმავლობაში უნდა გამართონ თვითმმართველობის პირველი სხდომა, სადაც თვითმმართველობა ცნობს თავის უფლებამოსილებას, ასევე, არჩეული იქნება თვითმმართველობის პრეზიდენტი.

3. თვითმმართველობის წევრი უფლებამოსილია წარმოადგინოს საკუთარი თავი პრეზიდენტობის კანდიდატად.

4. პრეზიდენტობის კანდიდატების არჩევა ხდება ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით ფარული კენჭისყრით, რის შედეგადაც პრეზიდენტად აირჩევა ყველაზე მეტი ხმის მფლობელი პირი.

5. პრეზიდენტობის კანდიდატი გამარჯვეულად ჩაითვლება თუ მიიღებს ყველაზე მეტ ხმას, მაგრამ არანაკლებ 5 ხმისა. აღნიშნული მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ჩატარდება განმეორებითი არჩევნები იგივე პრინციპების დაცვით.

მუხლი 9. დასკვნითი დებულება

არჩევნების შედეგად თუ ვერ/არ იქნა არჩეული ფაკულტეტის/ფაკულტეტების მიხედვით სულ მცირე 1 წარმომადგენელი, ჩატარდება ახალი არჩევნები შესაბამისი ფაკულტეტის/ფაკულტეტების მიხედვით, ზემოთ აღნიშნული პრინციპების დაცვით.